შპს „ქარვა“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალისა და სხვა საერთო შემოსავლის ანგარიშგება.....4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

კომპანია და მისი ოპერაციები 7

კომპანიის საოპერაციო გარემო 7

მომზადების საფუძველი 8

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა 9-18

კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკების

გამოყენებისას :

ძირითადი საშუალებები 19

არამატერიალური აქტივები 19

მისაღები სესხები 20

ფული და ფულის ექვივალენტები 20

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....20

საწესდებო კაპიტალი 21

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 21

წმინდა ფინანსური შემოსავალი 21

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შპს "ქარვა"-404425083

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	44,891	5466	11,446
სავაჭრო მოთხოვნები	693,819	846,618	1,016,136
გადახდილი ავანსები	73,578	2200	5810
სხვა მიმდინარე აქტივები	68,025	5965	1867
სულ მიმდინარე აქტივები	**880,313**	**860,249**	**1,035,259**
არამატერიალური აქტივები	845,146	904,294	695,279
ძირითადი საშუალებები	170,360	143,332	111,703
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,811,945	2,388,289	1,493,345
სულ გრძელვადიანი აქტივები	**3,827,451**	**3,435,915**	**2,300,327**
სულ აქტივები	**4,707,764**	**4,296,164**	**3,335,586**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	66,621	31,047	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1845	29,442	109,423
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	68,523
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**68,466**	**60,489**	**177,946**
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	110	110	110
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	112,128
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**110**	**110**	**112238**
სულ ვალდებულებები	**68,576**	**60,599**	**290,184**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	548,922	548,922	548,922
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4,090,266	3,686,643	2,496,480
სულ საკუთარი კაპიტალი	**4,639,188**	**4,235,565**	**3,045,402**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**4,707,764**	**4,296,164**	**3,335,586**

სრული შემოსავლის ანგარიშგება, შპს "ქარვა"-404425083

	2019	2018
საქმიანობის შედეგები		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	**6,774,555**	**6,737,011**
საერთო მოგება	6,774,555	6,737,011
დასაქმებულთა ანაზღაურება	-5,071,777	-4,440,959
ცვეთა და ამორტიზაცია	-261,170	-210,312
საპროცენტო შემოსავალი:	251,531	198,621
საპროცენტო ხარჯი :	0	-904
იჯარის ხარჯი	-151,847	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1,370,063	-1,168,432
სულ საოპერაციო ხარჯები	-6,603,326	-5,621,986
საოპერაციო მოგება	**171,229**	**1,115,025**
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	211,684	75,138
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	382,913	1,190,163
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	**382,913**	**1,190,163**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	382,913	1,190,163
საწედდებო კაპიტალი	4,235,565	3,045,402
დივიდენდის განაწილება	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (კორექტირება)	20,710	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**4,639,188**	**4,235,565**

შპს „ქარვა“ -404425083

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომსახურეობიდან	8,052,409	7,880,467
სხვა შემოსავლები	0	14,383
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე	-3,752,331	-4,285,326
გადახდილი გადასახადები	-2,360,500	-1,907,592
სამივლინებო	-273,240	-276,456
იჯარის ხარჯი	-151,847	-88,752
ბანკის საკომისიო	-4387	-5171
საგადასახადო ხარჯი	0	-370,695
სხვა ხარჯი	-1,416,619	-380,536
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**93,485**	**580,322**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-46884	0
გაცემული სესხების მიღება		0
წმინდა ფულადი საინვესტიციო საქმიანობიდან	**-46884**	**0**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	0	-722,337
გაცემული სესხების მიღება	0	136,035
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა/ზარალი	-7176	0
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**-7176**	**-586,302**
წმინდა (შემცირება)ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**39,425**	**-5980**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**5466**	**11,446**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**44,891**	**5466**

შპს „ქარვა"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2019 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ქარვა“ (კომპანია) არის 2012 წლის 9 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით - 404425083 . კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რესპუბლიკის მოედანი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობას.

2019 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელია სს „სილქნეტი“, ხოლო დანარჩენი 49% ის მფლობელი - ქარვა ლიმიტედ (მალტა).

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო ხასიათდება განვითარებადი ბაზრის გარკვეული ნიშნებით, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ინტერპრეტაციათა სიმრავლითა და ხშირი ცვლილებებით გამოირჩევა.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარების მიმართულება დიდწილადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე და, აგრეთვე, საგადასახადო, სამართლებრივ, რეგულირების სფეროს და პოლიტიკურ მოვლენებზე. მენეჯმენტს არ ძალუძს ყველა იმ მოვლენის განჭვრეტა, რაც ზეგავლენას იქონიებდა საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, იმ ეფექტის განსაზღვრა, რაც ამ მოვლენებს შეიძლება ჰქონდეს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტის აზრით, ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მეორე წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწყისი მსს ფასს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და მსს ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში ითხოვს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რედაქციის რეტროსპექტიულ გამოყენებას.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

მსს ფასს-ის პირველად გამოყენა 2018 წლის ანგარიშგების წარსადგენად ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია არ იყო ვალდებული, ფინანსური ანგარიშგება მოემზადებინა .

ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არის მხოლოდ 2018 წლის შესადარისი ინფორმაცია.მსს ფასს კომპანიებს ავალდებულებს კომპანიებს, წარმოადგინონ ფინანსური მდგომარეობა მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის და აგრეთვე მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და ნებაყოფლობით შეღავათებს.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და საპრეზენტაციო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსით სებ-ის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი განაკვეთით ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებიდან და ფულადი აქტივების თითოეული პირის ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირებადი მიღებული მოგება და ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო:

US Dollar (USD)1 = GEL 2.5922 და ("EUR") EUR 1 = GEL 3.1044; (31 December 2017)

US Dollar ("USD") 1 = GEL 2.6766 და Euro ("EUR") 1 = GEL 3.0701 (31 December 2018)

US Dollar ("USD") 1 = GEL 2.8677 და Euro ("EUR") 1 = GEL 3.2095 (31 December 2019)

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ფული და ფულის ეკვივალეტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, სამთვიანი ან ნაკლები თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ფასით. შემდგომში კი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვი

დგინდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვადადამდგარი მოთხოვნების ამოღებას მათი თავდაპირველი პირობებით.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსები გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდეგ, ან მაშინ, როდესაც ის დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

აქტივების შესყიდვაში გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვებისას, როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური ბენეფიტების მიმღები იქნება კომპანია. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების შესაბამისი ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესის ოდენობით. მარაგების თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. მზა საქონლისა და მიმდინარე სამუშაოს ღირებულებაში შედის ნედლეული, შრომის პირდაპირი დანახარჯები, სხვა პირდაპირი ხარჯები და წარმოების შესაბამისი ზედნადები ხარჯები (ჩვეულებრივი საოპერაციო წარმადობის მიხედვით). მასში არ შედის სესხის აღების ხარჯები. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას განსაზღვრული სავარაუდო გასაყიდი ფასი დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

თითოეულ საანგარიშგებო თარიღში მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ გაუფასურება დადგინდა, საბალანსო ღირებულება დადის გასაყიდი ფასისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობამდე, ხოლო

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, იმის მიხედვით, თუ რა არის მართებული, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია და ერთეულის ღირებულების სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია. მცირემასშტაბიანი რემონტისა და ყოველდღიური შენახვის ხარჯები ასეთად აღირიცხება გაწევის მომენტში. ძირითადისაშუალებების მსხვილი ნაწილებისა თუ კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა ისე ერიცხება, რომ აქტივების ღირებულებისა და მათი ნარჩენი ღირებულების სხვაობა წრფივი მეთოდით გადანაწილდეს მოსალოდნელ სარგებლიანობის ვადაზე.

სარგებლიანობის მოსალოდნელი ვადებია:

სარგებლიანობის ვადა, წელი

1. **ოფისის აღჭურვილობა-5 წელი**
2. **ავეჯი და სხვა ინვენტარი-5 წელი**
3. **სატრანსპორტო საშუალებები-5 წელი**
4. **იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა-5 წელი**

სარგებლიანობის ვადასა და შესაბამისი იჯარის ვადას შორის უმცირესი აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სარგებლიანობის ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და პროსპექტიულად კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებას.აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება აღდგენად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.რეალიზაციით გამოწვეული მოგება და ზარალი დგინდება შემოსავლის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში

აღიარდება „სხვა შემოსავალსა“ და „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო გადასახდელები ირიცხება კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის განუსაზღვრელი ვადისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას უჩნდება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის განმაპირობებელი რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია. რეზერვები ფასდება მოსალოდნელი დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით გადასახადამდე გადაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებასა და ვალდებულებისათვის დამახასიათებელ რისკებს. რეზერვის დროის გასვლით გამოწვეული ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

გადასახადები და მოსაკრებლები, მაგალითად გადასახადები მოგების გადასახადის გარდა, ან რეგულირების საფასურები, გადახდის ვალდებულების წარმოშობამდე პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, ვალდებულებად აღიარდება მოსაკრებელის გამომწვევი დამავალდებულებელი მოვლენის დადგომისას, მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების გამომწვევი კანონმდებლობის განსაზღვრების მიხედვით. დამავალდებულებელ მოვლენამდე გადახდილი მოსაკრებელი აღიარდება როგორც გადახდილი ავანსი.

აღებული სესხები. აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით; შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობას ადგენენ კომპანიის აქციონერები. კომპანიის საწესდებო კაპიტალის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება მათი

გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები განიმარტება შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარდებოდა წლის მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე ან სხვა პერიოდში სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რასაც პირი უხდიდა საგადასახადო ორგანოებს ან იღებდა მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრებოდა პროგნოზით, თუ ფინანსური ანგარიშგება მტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების აღრიცხვის მიზნით, გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საბალანსო ვალდებულებათა მეთოდით. საწყისი აღიარების შეღავათის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები საწარმოთა გაერთიანებისგან განსხვავებულ ტრანზაქციაში აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას დროებით სხვაობებზე არ აღიარდებოდა, თუ ეს ტრანზაქცია, საწყისი აღიარებისას, არ მოქმედებდა არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები აისახებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როცა უნდა მომხდარიყო დროებითი სხვაობების გაუქმება ან გადატანილი საგადასახადო ზარალის ათვისება.

გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისა და გადატანილი საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდო იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში გაუქმდებოდა და იარსებებდა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლებოდა გამოქვითვების გამოყენება.

გადატანილი საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები ურთიერთჩაითვლებოდა, როდესაც არსებობდა სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, პირს მიმდინარე საგადასახადო აქტივი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებიდან გამოექვითა, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულებები დაკავშირებული იყო ისეთ მოგების გადასახადთან, რომელსაც არიცხავდა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო ერთსა და იმავე დასაბეგრ ერთეულს ან სხვადასხვა დასაბეგრ ერთეულებს, თუ არსებობდა განზრახვა, რომ მომხდარიყო ურთიერთჩათვლა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებულ მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების 15%-იანი გადასახადი ერიცხება მთლიან ღირებულებას (ანუ წმინდა დივიდენდები გაიზრდება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით, თუ ეს მართებულია და გაიყოფა 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდების გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებზე გაცემული დივიდენდები გადასახადისგან თავისუფალია.2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ მოგებაზე გაცემული დივიდენდების შემთხვევაში მოგების გადასახადი აგრეთვე ერიცხება მთლიან ღირებულებას, რომელსაც გამოკლებული აქვს შესაბამისი საგადასახადო ფასდაკლება, რომელიც გამოითვლება როგორც გამოცხადებული და დასაბეგრ მოგებაზე გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გადასახდელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო ფასდაკლების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს დივიდენდების

განაწილებაზე დარიცხულ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის. გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. დაუყოვნებლივ იბეგრება ისეთ იურისდიქციებში მოქმედ პირებზე გადახდილი ავანსები, სადაც პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი მოთხოვნებს, და ამგვარ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციულ საგადასახადო გარემოში რეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებსა თუ მომსახურებაზე მისაღები საგადასახადო ფასდაკლებების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო პოზიციებს მენეჯმენტი ამოწმებს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის ისეთი პოზიციებისათვის, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, სავარაუდოდ, გამოიწვევს დამატებითი გადასახადის დარიცხვას, საგადასახადო ორგანოების მხრიდან მათი ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში. შეფასება ეფუძნება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო კანონმდებლობის და ყველა ცნობილი სასამართლო თუ სხვა გადაწყვეტილების ინტერპრეტაციას. ვალდებულები ჯარიმებზე, პროცენტსა და გადასახადებზე მოგების გადასახადის გარდა აღიარდება მენეჯმენტის მხრიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად საჭირო ხარჯების შეფასების საფუძველზე. მოგების გადასახადის

განუსაზღვრელი პოზიციების კორექტირება აღირიცხება დარიცხული მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამავალი დღგ გაყიდვებთან დაკავშირებით გადაიხდება ორი შემდეგი ვადიდან უადრესში (ა) მოთხოვნების მიღება მომხმარებლებისგან ან (ბ) საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა მომხმარებლებისათვით. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ჩათვლას ექვემდებარება საგადასახადო ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების ნებართვით, დღგ-ის გადახდა შესაძლებელია ნეტ საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული რომლებიც გაწეულია არა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აჭარბებს საქართველოს შემავალი დღგ 5-დან 10-წლამდე გადავადდება იმ პირებისათვის, რომელთა ბრუნვის 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებულია.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი, იმის მიუხედავად, თუ როდის ხდება გადახდა. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და გადასახადების გარეშე. შემოსავლის აღიარებამდე უნდა მოხდეს ქვემოთ ჩამოთვლილი აღიარების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მომსახურების გაწევის საანგარიშგებო პერიოდში.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და სამედიცინო დაზღვევა ირიცხება იმ წელიწადში, როდესაც კომპანიის თანამშრომელთა მიერ მოხდა მათთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა. კომპანიას არ აქვს პენსიების ან მსგავსი ბენეფიტების გადახდის სამართლებრივი თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური

ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ურთიერთჩათვლის ამგვარი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და (ბ) სამართლებრივად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა შემდეგ გარემოებაში: (1) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (2) დეფოლტის დროს და (3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

საოპერაციო იჯარა. კომპანია გარიგებაშია შესული ფიზიკურ პირებთან რომელთაგანაც ქირაობს საოფისე ფართსა და სატრანსპორტო საშუალებებს.ამდენად, ყველა ეს იჯარა შეიძლება განხილულ იქნეს საოპერაციო იჯარად.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება გამოშვების შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის თანხმობას, რომელმაც დაამტკიცა ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად.

5. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, მენეჯმენტი აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სარგებლიანობის ვადა. ძირითადი საშუალებების ერთეულის სარგებლიანობის ვადის დადგენა მენეჯმენტის შეფასებით ხორციელდება

მსგავს აქტივებზე გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სარგებლიანობის ვადის დადგენისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და მისი ოპერირების გარემოს ფიზიკურ გარემოს. ნებისმიერი პირობის ან პროგნოზის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კონკრეტული კლიენტის ანგარიშებზე მოთხოვნის ამოღების ხარისხის კომპანიისეულ შეფასებას. თუ მსხვილი კლიენტის კრედიტუნარიანობა გაუარესდა ან რეალური დეფოლტები საპროგნოზოს აჭარბებს, მოთხოვნების რეალური ანგარიში ამ პროგნოზებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. თუ კომპანიამ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებულ მოთხოვნაზე არ მომხდარა, ის ამ მოთხოვნას ათავსებს იმ მოთხოვნების ჯგუფში, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკით ხასიათდება და გაუფასურებაზე მათ ჯგუფურად ამოწმებს. გაუფასურების ჯგუფურად შესამოწმებლად მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. აღნიშნული მახასიათებლები მნიშვნელოვანია ამგვარ აქტივებზე მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების თვალსაზრისით, რადგან მიუთითებს დებიტორის უნარზე, გადაიხადოს მისგან მოსალოდნელი თანხები შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების მიხედვით. ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურების გარეშე აღმოჩენილი სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფურად ფასდება კომპანიის გამოცდილების საფუძველზე მსგავსი ვადის მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით. სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები იქმნება კონკრეტული ვადის კატეგორიის ანგარიშების ამოღების დონის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, გაუფასურების რეზერვის მოცულობა სენსიტიურია კონკრეტული გამოყენებული კოეფიციენტების მიმართ.

კონკრეტული შედეგები საპროგნოზოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს და კომპანიის პროგნოზი შეიძლება მომავალში დაკორექტირდეს დადებითისკენ ან უარყოფითისკენ თითოეული რისკის

6.ძირითადი საშუალებები

მოძრაობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო:

	ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	85,913	54,384	3035	143,332
შეძენა	31,845	0	59,932	91,777
ცვეთა	-36,860	-24,144	-3745	-64,749
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019 წელი	80,898	30,240	59,222	170,360

7.არამატერიალური აქტივები

მოძრაობა არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებში იყო:

	IPTV Soft პროგ. უზრუნველყოფა	IPTV Soft პროგ. განვითარება	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018 წელი	106,573	778,991	18,731	904,295
შეძენა		137,272		137,272
ამორტიზაცია	-22,135	-165,503	-10,783	-198,421
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019 წელი	84,438	752,760	7948	843,146

8. მისაღები სესხები

კომპანიის გაცემული სესხები წარმოადგენენ მშობელ კომპანიასთან გაცემულ სესხებს.

მშობელ კომპანიაზე გაცემული	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	განაკვეთი	დაფარვის თარიღი	ვალუტა
ქარვა მალტა ლიმიტედ	1,433,850	1,338,300	1,296,100	12%	2030	USD
ქარვა მალტა ლიმიტედ	682,799	637,298	1,296,100	12%	2020	USD

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	66,621	31,047	0
გადასახდელი ხელფასები	1845	29,442	109,423
საგადასახადო ვალდებულება	0	0	68,523
სხვა ვალდებულებები	110	110	110
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**68,576**	**60,599**	**178,056**

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე დეპოზიტები ბანკში	44,891	5466	11,446
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	44,891	5466	11,446

11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის საწესდებო დოკუმენტაციაში მითითებულ კაპიტალის ოდენობას.

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2019	2018
მივლინების ხარჯი	-157,934	-266,261
პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები	-118,324	-64,593
დაზღვევის ხარჯი	-111,365	-74,137
იჯარის ხარჯი	-159,252	-119,000
გამოფენები	-273,041	-253,233
თანამშრომლების კვების ხარჯი	-223,889	-194,035
კომუნიკაციის ხარჯი	-18,186	-21,846
კადრების მოძიების ხარჯი	-2950	-38,520
სხვა საოპერაციო ხარჯი	-305,111	-134,211
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**-1,370,052**	**-1,165,836**

14. წმინდა ფინანსური შემოსავალი	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	251,531	198,621
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	355,129	263,736
ფინანსური შემოსავალი	**606,660**	**462,357**
საპროცენტო ხარჯი	0	-904
სხვა არა-საოპერაციო ხარჯი	-554	-188,596
ფინანსური ზარალი	-142,891	-189,500
წმინდა ფინანსური შემოსავალი	**463,769**	**272,857**